

2009. წლის დონორები

2009 წელს ფონდი იწვევს განხორციელებას 2009-2011 წლებისთვის შემუშავებული ახალი სტრატეგიული გეგმისა, სადაც კონფლიქტით დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირითად სამუშაო მიმართულებეთაგანია.



პროექტი:
ფონდის ტასო საქმიანობის
მხარდაჭერა 2009 წელს



პროექტი:
ქალთა ეკონომიკური
გაძლიერება შიდა ქართლის 9
სოფელში



ინსტიტუციური
განვითარების გრანტი



პროექტი:
კარაღეთის ქალთა ცენტრი
კალაღობასთან საბრძოლველად
და სათემო განვითარებისთვის
(თანადაფინანსება)



პროექტი:
კარაღეთის ქალთა ცენტრი
კალაღობასთან საბრძოლველად
და სათემო განვითარებისთვის
(თანადაფინანსება)



ინსტიტუციური
განვითარების გრანტი



პროექტი:
ქალთა პოლიტიკური
მონაწილეობა



ფონდის ტასო საქმიანობის მხარდაჭერა: 2009

მარინე ბერიძე, ლინგვისტი და ზეპირი ისტორიის მკვლევარი
Marine Beridze, linguist and OH researcher



ქალთა ზეპირი ისტორია

2009 წელს პროგრამის ძირითადი მიზანი იყო ქალთა ზეპირი ისტორიის, როგორც აკადემიური დისციპლინის ინსტიტუციონალიზაცია. მომზადდა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩატარდა სემინარი ქალთა ზეპირი ისტორია: თეორია და პრაქტიკა. სემინარის 17 მონაწილე საგანგებოდ შეირჩა, გარდა ინსტიტუტის თანამშრომლებისა, მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მაგისტრანტებმა, სტუდენტებმა და მკვლევარებმა. სემინარი მოამზადა და ჩატარა ცისანა გოდერძიშვილმა, ხოლო მისი ერთი დღე – მარინე ბერიძემ, უნივერსიტეტის პროფესორმა. მომზადდა და სემინარის მონაწილეებს დაურიგდა საკითხავი წიგნი ქალთა ზეპირი ისტორიის სფეროში, რომელშიც შევიდა ქართული თარგმანები შემდეგი სტატიებისა: რებეკა შარპლესის „ზეპირი ისტორიების ისტორია“, მერი ა. ლარ-


სონის „კვლევის ჩანაფიქრი და სტრატეგიები“, დონალდ ა. რიჩის „ინტერვიუების ჩატარება“, შერნა გლაქის „რატომ არიან ქალები ასეთი განსაკუთრებულნი. ქალთა ზეპირი ისტორიები“. კრებულს ერთვის ბიბლიოგრაფია იმის მითითებით, თუ რომელი პუბლიკაციის ასლი არის ფონდის მენსიერების კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში. სემინარში გამოსაყენებლად შეირჩა და დამონტაჟდა ქალთა ზეპირი ისტორიის აუდიო და ვიდეო მასალა.

სემინარის 8 მონაწილემ დამატებით მიიღო ერთთვიანი კონსულტაციები და ფონდის მხარდაჭერით, ჩაიწერა თითო ინტერვიუ 2008 წლის აგვისტოს ომში დაზარალებული ადამიანებისგან.

☀ 2010 წელს გამოიცა „ელო“, მე-8 წიგნი ქალთა მენსიერების სერიიდან, რომელიც ეძღვნება შუა საუკუნეების ქართული და ბიზანტიური ლიტერატურის შესანიშნავ მკვლევარს ქ-ნ ელენე მეტრეველს (1917-2003). წიგნში შევიდა ქ-ნ ელოს 22 კოლეგისა და ნათესავის მონათხრობი და ფოტოები საოჯახო და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივებიდან.

ბამოყვების სარკა ფემინისტური ბიბლიოთეკა

2009 წელს მომზადდა და გამოქვეყნდა (2010 წ.) „10 ქართული მოთხრობა“, ფემინისტური ბიბლიოთეკის მე-3 წიგნი. წიგნში შევიდა თანამედროვე მწერალ ქალთა, თეონა დოლენჯაშვილის, ნინო სურამელაშვილის, მაკა მიქელაძის, ანა კორძაია-სამადაშვილის, ირმა ტაველიძის, თამთა ძელაშვილის, ნინო თარხნიშვილის, თეა თოფურაძის, მაგდა კალანდაძის და მაკა ღლოცონენის თითო მოთხრობა. შესავალი წერილი „რაზე წერენ მოცემულ ტექსტუალურ რეალობაში ქართველი მწერალი ქალები“, ეკუთვნის სალომე ცოფურაშვილს.



ბრანტაგი სოფლად მსოფრიალ ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობისთვის

ფონდმა მცირე გრანტით მხარი დაუჭირა სათემო ორგანიზაციას „ლელი 1“ ლავოდენის მუნიციპალიტეტის სოფლებში ქალთა უფლებების შესახებ საგანმანათლებლო კამპანიის ჩასატარებლად. აგრეთვე, 2009 წელს ფონდმა თანადაფინანსა ამ ორგანიზაციის პროექტი, რომელიც გულისხმობდა სამედიცინო შემოწმებას, კონსულტაციებს და სავარჯიშო დარბაზის მოწყობას ქალთა შორის ოსტეოპოროზის მხარედი პრობლემის საწინააღმდეგოდ ლელიანის თემში.

ფონდმა, OSGF გრანტიდან, თანადაფინანსა კონკურსის „სოფლად მცხოვრებ ქალთა სოციალური და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საქმიანობა“ სავრანტო ფონდი.



ლელიანის გამაჯანსაღებელ ცენტრში
Ieliani's gamajansaRebel centriSileliani's gamajansaRebel centriSi

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება შიდა ქართლის 9 სოფალში



2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ არსებული მდგომარეობის გააზრებით, საქმიანობის ორი მიმართულება დავსახეთ: მოსახლეობის გაძლიერება ეკონომიკურად, გრანტებით შემოსავლისმომტანი საქმიანობების/მცირე ბიზნესის დასაწყებად, და პროექტი მოსახლეობის სოციალურად გააქტივებისთვის. კონფლიქტის ზონაში მუშაობა 2009 წლის 12 მარტიდან დაიწყო. სოფელ ქალბთან უშუალო თანამშრომლობა ყოველთვისაა უადრესად საინტერესო და ძალთა შემმატი, და წარმოდგინეთ, რამდენად განსაკუთრებული იყო მუშაობა სოფლებში, სადაც ხალხმა სულ რამდენიმე თვის წინ გამოსცადა ოჯახის წევრების დაღუპვა, წამება, სახლ-კარის, საქონლის განადგურება.

თითქმის ყველა სოფელში, როცა ჩვენს პროექტს წარვადგენდით ქალთა პირველივე ხალხმრავალ კრებებზე, გვითხრეს, თუ ფული გაქვს, ამდენი სული ცხოვრობს ჩვენს სოფელში, გაგვინაწილე, დაგვირიგე და წადიო. ჩვენ კი ვუხსნიდით, რომ თავიანთ შორის ნდობით აღჭურვილი ქალები უნდა აირჩიონ ჩვენთვის ადგილობრივ კონსულტანტებად, პროექტები უნდა დაიწეროს, ბიუჯეტები უნდა შედგეს, ბანკში პირადი ანგარიშები გაიხსნას... ვუსმენდით მათი უბედურების და გაჭირვების ამბებს, ჩვენსავე ვეუბნებოდით, ვარიგებდით წიგნებს და ინფორმაციას სხვა ორგანიზაციების პროექტების და შესაძლებლობების შესახებ და ამასობაში, თითქმის 3 თვის განმავლობაში, ნდობაც მოვიპოვეთ. ვმუშაობდით სოფლებში: დვანი, ბრეთი და არადეთი; ვარიანი, ნიქოზი, ტყვიავი, ტირძნისი, გუგუთიანთკარი და იძულებით გადაადგილებულთა დასახლება კარალეთი.



კონკურსის ფარგლებში 122 პროექტი შემოვიდა და შეფასებისა და წინასწარშერჩეული პროექტების ბიუჯეტების მოდიფიკაციის რთული პერიოდის



შემდეგ, ადგილობრივ კონსულტანტებთან ერთად, მივიღეთ გადაწყვეტილება 53 პროექტის დაფინანსების შესახებ. გრანტების ხელშეკრულებებს საზეიმოდ მოეწერა ხელი გორში, გენდერულ რესურს ცენტრში, რომელიც გაეროს სააგენტოების მხარდაჭერით გაიხსნა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ, ჩვენი კონკურსის ყველა აპლიკანტი ჩართო მცირე ბიზნესის განვითარების ერთთვიან სასწავლო პროგრამაში, რომელიც გაეროს ქალთა ფონდის ინიციატივით და მხარდაჭერით მუშაობდა. შემოდგომაზე, პროექტების მონიტორინგმა ცხადყო, რომ ჩვენგან მხარდაჭერილი საქმიანობები, საქონლის, ღორების, კურდღლების, ქათმების ფერმები და სხვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გრანტებისმიმღებთა ოჯახებისთვის, რადგან

ამ, მეზობლების რეგიონში ხალხს დიდად უჭირს მოსავალის გაყიდვა და ბაღებისგან მიღებული მიწერული შემოსავალი ვერაფრით უზრუნველყოფს გრძელი და ცივი ზამთრის გატარებას. მაგრამ ეს სხვა ისტორიაა, ისტორია ქვეყნის აგრარული პოლიტიკის გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ.

ქარალეთის ქალთა ცენტრი ძალადობასთან საბრძოლველად და სათემო განვითარებისთვის

პროექტის წარმატებას ხელი შეუწყო ქალთა სოციალური პასუხისმგებლობის ცენტრის ჩამოყალიბების გამოცდილებამ (სანიორე, კახეთი) და შიდა ქართლში აგვისტოს ომით დაზარალებულ ქალთათვის შემოსავლის მომტანი გრანტების გასაცემად გაწეული მუშაობით დამსახურებულმა მოსახლეობის ნდობამ. პროექტი გავრცობილია **ღია საზოგადოების ფონდების (OSF) ინსტრუქციური განვითარების გრანტის რესურსებით.**

მოსამზადებელი სამუშაოები: საოფისე და საკონფერენციო სივრცის რემონტი პროექტის დასაწყებად, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, ტუალეტის მშენებლობა, გაზის გამოყვანა, ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა განხორციელდა კარალეთის თემის ადმინისტრაციულ შენობაში, რომელიც პროექტს ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაუთმო.

ქალთა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ცენტრი: ფონდმა, კონკურსის საფუძველზე, დაიქირავა ადგილობრივ მცხოვრები თანამშრომელი და ოფისი გახსნა სოფ. კარალეთში, გორის მუნიციპალიტეტში. ოფისი, თავისი აღჭურვილობით, ინტერნეტის ხელმისაწვდომობით, თემის 4 სოფლისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ემსახურებოდა. ცენტრმა დააკავშირა თემი სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც კონფლიქტის ზონაში მუშაობდნენ მოსახლეობის სასარგებლოდ და ხელი შეუწყო ამ ორგანიზაციებს თავიანთი მისიის შესრულებაში.

ბიბლიოთეკა: კარალეთის ცენტრში შეიქმნა 2 ბიბლიოთეკა: ადამიანის უფლებებისა და ბავშვთა. უფლებების ბიბლიოთეკით, ძირითადად, პროექტის საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილეებმა ისარგებლეს; ბავშვთა ბიბლიოთეკამ მოიზიდა მშობლები, მასწავლებლები და სკოლის ასაკის ბავშვები.

პლაკატი: დაიბეჭდა და ფართოდ დარიგდა პროექტის პლაკატი იძულებით გადაადგილებულ ქალთა გამოსახულებით და წარწერით: „გავაძლიეროთ ერთმანეთი მთელი სოფლის საკეთილდღეოდ“.

პროექტის საგანმანათლებლო პროგრამა: სემინარების ციკლი ქალთა უფლებების სხვადასხვა სფეროში ქვეყნის წამყვანმა ექსპერტებმა/ქალთა ორგანიზაციების ლიდერებმა ჩაატარეს. გარდა ცოდნის გადაცემისა, ექსპერტებმა მონაწილეებს ცნობები მიაწოდეს იმ შესაძლებლობების შესახებ, რასაც მათი, და სხვა ორგანიზაციების მომსახურება სთავაზობს ქალებს თბილისსა და გორში. პროექტის საგანმანათლებლო პროგრამა შემდეგ თემებს მოიცავდა:

ძალადობა ოჯახში: საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა; კრიზისული ცენტრები და თავშესაფრები; კანონის განხორციელების სირთულეები.

შრომითი მიგრაცია და ტრეფიკინგი: სიღარიბე და უმუშევრობა, როგორც შრომითი მიგრაციის მიზეზი, უკანონო მიგრაცია და საფრთხეები, ადამიანთა ტრეფიკინგი, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა, ტრეფიკინგის პრევენცია, ეროვნული კანონმდებლობა და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო დახმარება.

გენდერი და ეკონომიკა: შრომითი უფლებები და ეროვნული შრომის კოდექსი; საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძვლები, გენდერი და ეკონომიკის პოლიტიკა, გენდერული ბიუჯეტირება, ადგილობრივი ბიუჯეტების გენდერული მონიტორინგი.

რეპროდუქციული უფლებები და ჯანმრთელობა: ოჯახის დაგეგმარება, კონტრაცეპტივები, ქალური დაავადებების პრევენცია, პაციენტის უფლებები, სექსუალური გზით გადადები დაავადებები, აივ/შიდსი; საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის საფუძვლები.

ქალთა მონაწილეობა მშვიდობის მშენებლობაში: ადამიანის უფლებების დაცვა მშვიდობის მშენებლობის, კონფლიქტების თავიდან აცილებისა და განვითარების თანმიმდევრული პროცესის უზრუნველყოფით ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის და გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის მიხედვით.

OSF გრანტიდან პროექტის საგანმანათლებლო პროგრამა გაფართოვდა შემდეგი ტრენინგ-სემინარებით: **ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა; ძუძუს კიბოს პრევენცია; ბუნების დაცვა/კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საფრთხე; სათემო მობილიზაცია.**

პროექტის საგანმანათლებლო პროგრამაში, ერთიანად, მონაწილეობა მიიღო კარალეთში და 7 მიმდებარე სოფელში მცხოვრებმა 139 ქალმა. გაცემული სერთიფიკატები მოიცავს იმ სემინარების თემების დასახელებას, რაც თითოეულმა მონაწილემ გაიარა.



კარალეთის პროექტის მონაწილეთა ჯგუფი
Group of project participants



სერთიფიკატების გადაცემა
Certificate Awarding

დამატებით, ხელშეწყობით OSF გრანტიდან, ქალთა ცენტრთან ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ჯგუფი, რომელმაც მიიღო განათლება ადამიანის/ქალთა უფლებების სწავლასზე სფეროში, ბუნების დაცვისა და ეროვნული კანონდებლობის საკითხებზე. ახალგაზრდულმა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა თემისთვის საჭირობო ტიპის თემებზე: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ბუნების დაცვა.

დაბეჭდა და დარიგდა ხურვალეთის დასახლებაში მცხოვრები დევნილი ბავშვების მარიონეტული სპექტაკლის პლაკატი.

ოჯახური ძალადობის ფაქტებზე

რეაბილიტაცია: კარალეთელ ქალებთან პირველივე შეხვედრაზე გახდა ცხადი, რომ ცენტრის მუშაობის ერთი უმთავრეს სამუშაო თემათაგანი უნდა იყოს ძალადობა ოჯახში; ოჯახში ძალადობის დაძლევა უნდა გამხდარიყო, აგრეთვე, იმ ქალთა ორგანიზაციის მიზანი, რომელიც პროექტის ფარგლებში კარალეთში ჩამოყალიბდა. 2008 წელს დაბეჭდილი თემატური პლაკატი, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ცხელი ხაზის/კონტაქტების მითითებით, ფართოდ დარიგდა გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების სოფლებში. ნატო შავლაყაძემ, ქსელის დირექტორმა, ჩაატარა სემინარი ოჯახში ძალადობის თემაზე კარალეთის ცენტრში. სემინარის მსვლელობისას გაცხადდა, რომ ერთ-ერთი მონაწილე ოჯახში ძალადობის მსხვერპლია. ეს იყო ძალზე მწვავე შემთხვევა, ქალი გადაყვანილ იქნა თავშესაფარში, შემდეგ კი თავისი მშობლების სახლში დაბრუნდა. ეს შემთხვევა საშინლად, ქალის თვითმკვლელობით დამთავრდა. ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება კარალეთის ცენტრში უფრო ინტენსიური გახდა. 11 შემთხვევაზე მოხდა რეაგირება ძექის გორის კომიტეტის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისისა და ორგანიზაციის „ადამიანის უფლებების პრიორიტეტი“ დახმარებით; მათ შორის 9 შემთხვევაში გორის საპატრულო პოლიციაც იყო ჩართული.




ლიდერი ქალები. კარალეთი
Women leaders . Karaleti



ტრენინგი: ძალადობა ოჯახში
Training in domestic violence

ქალთა სათემო ორგანიზაციის ჩამოყალიბება:

7 საგანგებო სემინარი და საკონსულტაციო შეხვედრები ჩაუტარდა პროექტის მონაწილე ახალგაზრდა ქალებს, რომელთაც მიიღო მონაწილეობა ქალთა სათემო ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. პროექტის მსვლელობისას ჯგუფი უკვე მოქმედებდა თემის მოსახლეობის ყველაზე უფრო დაუცველი ნაწილისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სასარგებლოდ. ჯგუფის წარმომადგენლები მასპინძლობდნენ და საქმიანობის განხორციელებაში ეხმარებოდნენ სხვა ორგანიზაციებს, რომელნიც მომსახურებდას უწყვეტდნენ მოსახლეობას. 2010 წლის 10 მაისისთვის, როცა პროექტი დაიხურა და მისი შედეგები შეჯამდა, ჩვენი შეფასებით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ შედეგთაგან სწორედ ამ, რამდენიმე სოფლის წარმომადგენელთაგან შემდგარი ჯგუფის ჩამოყალიბება იყო. ჯგუფმა, სახელწოდებით „კარალეთის ქალთა სოლიდარობის ცენტრი“ ოფიციალური რეგისტრაცია გაიარა, პროექტის ქონება მემკვიდრეობით მიიღო და ფონდის ტასო მხარდაჭერით დამოუკიდებლად შეუდგა თავისი პირველი, ოჯახში ძალადობის დასაძლევად მიმართული პროექტის განხორციელებას. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს მარიამ თედლიაშვილი, იურისტი.



მარიამ თედლიაშვილი
Mariam Tedliashvili

ღია საზოგადოების ფონდების ინსტიტუსიური განვითარების გრანტი

2009 წელს ჩვენი ამოცანა, OSF ინსტიტუსიური განვითარების გრანტის ფარგლებში, იყო დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობა სოფლად მცხოვრებ და კონფლიქტებით დაზარალებულ ქალთა ღირსეული მონაწილეობით.

საგრანტო პროგრამა

☀️ საგრანტო კონკურსის „სოფლად მცხოვრებ ქალთა საზოგადოებრივი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საქმიანობა“ მიზნები უკავშირდებოდა როგორც ფონდის გრძელვადიან პროგრამას სოფლად მცხოვრებ ქალთა ჩასართავად საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე ახლადდაწყებულ სამუშაო მიმართულებას „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა“. საკონკურსოდ შემოსული 21 განაცხადიდან 6 პროექტი შეირჩა და დაფინანსდა.

ამათგან 2 გრანტი გაიცა ქალთა ჯგუფებისთვის იძულებით გადაადგილებულთა დასახლებებში „ფრეზეთი“ და „წეროვანი“. ამ პროექტების ფარგლებში, გარდა ორგანიზაციული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საქმიანობისა, განხორციელდა ქალთა ჯგუფების სწავლება და მომზადება საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის. ინსტიტუციური განვითარებისთვის, ახალგაზრდობასთან სამუშაოდ და გარემოსდაცვითი საქმიანობისთვის ფონდმა მხარი დაუჭირა კახეთის სოფელ ყიბანში მცხოვრებ ეთნიკურად ოს ქალთა ჯგუფს. ეს გრანტი მნიშვნელოვანია სამომავლოდ, საქართველოს მოქალაქე ოს ქალთა ჩასართავად მშვიდობის მშენებლობისკენ მიმართულ პროექტებში.



ქეთევან ხიდაშელი (ცენტრში) და პროექტის მონაწილე ქალები
Ketevan Khidasheli (in the centre) and project participants

კონკურსის ფარგლებში მხარდაჭერა მიიღო ქალთა სამმა ორგანიზაციამ სოფლებში დეაბზუ (გურია), ლელიანი და ფშაველი (კახეთი), რომლებთანაც ფონდს წინა წლების წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება აქვს. ამათგან სოფ. ფშაველის ქალთა ჯგუფი დაფინანსდა OSGF გრანტიდან.

☀️ OSF გრანტიდან ფონდმა აგრეთვე თანადაფინანსა პროექტი „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება შიდა ქართლის 9 სოფელში“. ლია მეკარიშვილმა მიიღო გრანტი ფერმის მოსაწყობად 2 ოჯახის სასარგებლოდ კონფლიქტის ზონაში.

☀️ **ქალი და მშვიდობა:** ფონდმა, მოლაპარაკების საფუძველზე, მცირე გრანტით დააფინანსა დაღუპულ მეომართა დედების კავშირი „არდავიწყება“. პროექტი გულისხმობს ამ საქველმოქმედო ორგანიზაციის განვითარებას ორგანიზაციის ახალგაზრდა წევრების საქმიანობაში ჩართვით და მოსამზადებლად მონაწილეობისთვის სამშვიდობო მოძრაობაში.



ტრენინგი - ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, ქუთაისი
Training in women's political participation, Kutaisi

ცემთა ბაზა. მცირე სამგზავრო გრანტებით, ფონდმა ამ ბაზის წევრ 11 ქალს დაუჭირა მხარი მონაწილეობის მისაღებად სკოლაში „ქალი და პოლიტიკა“. გარდა ამისა, სწავლება ფონდის სამმა თანამშრომელმაც გაიარა, მათ შორის – კარალეთის ქალთა ცენტრის ხელმძღვანელმა.

☀️ **სოფლად მცხოვრებ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა:** 2009 წლის განმავლობაში, მონაწილეობით გენდერული თანასწორობის კანონ-პროექტის შემუშავებაში, ფონდი თანამშრომლობდა გაეროს განვითარების ფონდის 3-წლიან პროექტთან „ქალი და პოლიტიკა“. ამ პროექტის ბოლო ეტაპზე, ფონდის მონაწილეობით, ქუთაისში მოეწყო ორი სკოლა თემაზე „ქალი და პოლიტიკა“ საკითხებით: გენდერული თანასწორობის საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკა; ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა; საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობის ინსტრუმენტები; მართვის უნარების განვითარება.

ამ დროისათვის უკვე შექმნილი გვექონდა პოლიტიკური კარიერის მსურველ ქალთა მონაწილეობის მისაღებად სკოლაში „ქალი და პოლიტიკა“. გარდა ამისა, სწავლება ფონდის სამმა თანამშრომელმაც გაიარა, მათ შორის – კარალეთის ქალთა ცენტრის ხელმძღვანელმა.

☀️ აგრეთვე, ინსტიტუციური განვითარების გრანტიდან, გაფართოვდა პროექტი „კარალეთის ქალთა ცენტრი ძალადობასთან საბრძოლველად და სათემო განვითარებისთვის“:

OSF გრანტის თანხის ნაწილი დაიხარჯა ფონდის თბილისისა და კარალეთის ოფისების ადმინისტრაციული ხარჯის დასაფარად, გაცემული გრანტების ადგილზე მონიტორინგისა და შეფასებისთვის და მაღალი გამავლობის ნახმარი ავტომობილის შესაძენად (თანაბარი წილით ქალთა გლობალური ფონდის გრანტიდან).

ინსტიტუციური განვითარების გრანტი ქალთა გლობალური ფონდიდან

გრანტის მიღების მომენტისთვის ფონდს უკვე განსაზღვრული ჰქონდა თუ რომელი ორგანიზაციებისთვის დაეჭირა მხარი ინსტიტუციური განვითარების გრანტის თანხიდან. შესაბამისად, ამ გრანტის ძირითადი თანხა გაიცა შემდეგ გრანტისმიმღებ პარტნიორთა საქმიანობის მხარდასაჭერად: სოფ. დეგაბზუს ქალთა ცენტრი (სათემო ყურნალის გამოცემა, ახალგაზრდული კლუბი, სემინარები ქალთა უფლებების საკითხებზე, გენდერულ ბიუჯეტირებაზე და სხვ.), სოფ. დირბის ქალთა ჯგუფი (ოფისისა და ხალხური რეწვის სახელოსნოს მოწყობა; ქალთა მობილიზაცია სოფლის საჭირობო საკითხებზე მსჯელობისა და რეაგირებისთვის) და ორგანიზაცია „გენდერ მედია კავკასია“ (ყურნალის „ქალთა დიალოგი“ მე-9 და მე-10 ნომრების მომზადება, გამოქვეყნება და გავრცელება).

დარჩენილი თანხა დაიხარჯა ორგანიზაციის მიმდინარე საჭიროებებისთვის, მათ შორის – მაღალი გამავლობის ნახმარი ავტომობილის შესაძენად.

მხარდაჭერილი პროექტების ეფექტურობის თვალსაჩინოებისთვის



ფონდმა გამოიყენა შეფასების მეთოდი Making the Case. გაირკვა, რომ თვითოეულმა პროექტმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილება, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, როგორც საზოგადოებრივ, ისე ინდივიდუალურ დონეებზე და გავლენა მოახდინა სათემო თუ უფრო ფართო ერთობის განვითარებაზე. ცვლილებები მოხდა როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი საკითხებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების თვალსაზრისით, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვისა და აქტუალური საკითხების მიმართ თემის წარმომადგენელთა დამოკიდებულების შეცვლის მხრივაც.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა: მონაცემთა ბაზა

გენდერული პოლიტიკის საერთაშორისო ქსელმა (www.igpn.net), რომელიც 2005 წელს შეიქმნა როგორც სოროსის ეროვნული ფონდების ქალთა პროგრამებიდან ტრანსფორმირებული ორგანიზაციების ქსელი, 2009 წელს საერთაშორისო პროექტის „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა“ (მხარდაჭერა: Oxfam Novib & OSF) ფარგლებში, მხარი დაუჭირა თავის წევრებს უკრაინაში, ყაზახეთსა და საქართველოში პოლიტიკოს და პოლიტიკური კარიერის დაწყების მოსურნე ქალთა მონაცემთა ბაზის შესაქმნელად. ამ ქვეყნებს შორის საქართველოში 2009 წელს ქალთა მონაწილეობის ყველაზე დაბალი დონე აღინიშნებოდა.

მონაცემთა ბაზის შექმნის ძირითადი მიზანი იყო სხვადასხვა სფეროში წარმატებით მომუშავე ქალთა პოტენციალის ჩვენება და გაბათილება მითისა, რომლის მიხედვით ქვეყანაში არ არსებობენ პოლიტიკური მოღვაწეობისთვის მზადმყოფი და ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მოსურნე ქალები.

მონაცემთა შეგროვებისას (ორგანიზაციის Oxfam Novib მოწოდებული კითხვარით) ფონდმა ყურადღება გაამახვილა პოლიტიკური კარიერის დაწყების მოსურნე, მათ შორის, ქვეყნის რეგიონებში/სოფლად მცხოვრებ ქალებზე, რომელნიც ყველაზე მეტად არიან პოლიტიკური ცხოვრებისგან იზოლირებულნი. მონაცემები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გროვდებოდა; ექსპერტის გარდა, სოფლად მცხოვრები ფონდის პარტნიორი ქალებიც იყვნენ საქმეში ჩართული. ყურადღებას ვამახვილებდით ლიდერობისა და მართვის უნარების დამადასტურებელ ინფორმაციაზე; თუ აპლიკანტი დამაკმაყოფილებლად პასუხობდა კითხვარის ამ პუნქტებს, მას ვრთავდით მონაცემთა ბაზაში, სადაც, საბოლოოდ, 140 მიღებულიდან 106 შევსებული აპლიკაცია შევიდა, ამათგან – 54 უპარტიო ქალისა, ხოლო 52 – სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წევრი ქალების (იხ. <http://www.database.igpn.net/en/>).

გაიმართა პროექტის 2 პრეზენტაცია, თბილისში, სახალხო დამცველის ოფისში და კარაღეთის ქალთა ცენტრში. თბილისში პრეზენტაციას ესწრებოდნენ მონაცემთა ბაზის წევრი ქალები, ქალთა ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

გაიმართა დებატები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და ქალთა ორგანიზაციებს შორის. დებატებმა აშკარა გახადა აუცილებლობა პოლიტიკოსთა და ქალთა ორგანიზაციებს შორის დიალოგის სივრცისა სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობებისა და ხედვის გასაზიარებლად.

კარაღეთში გამართულ პრეზენტაციას მოყოლილმა დისკუსიამ აჩვენა, რომ სერიოზული სამუშაო ჩასატარებელი შემდეგი მიმართულებებით: ქალთა განათლება მათ მოსამზადებლად დიალოგისთვის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის; ადგილობრივი

პროექტის პრეზენტაცია სახალხო დამცველის ოფისში
Project presentation at PDO



ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართვა სამოქალაქო საზოგადოების იმ პროგრამებში, რომლებიც ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის განსახორციელებლად მიმართული; შუამავლობა ადგილობრივ თემებსა და სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის თემთა რეალური ინტერესების გასათვალისწინებლად.

სოფლად ქალთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის საკითხის მიმართ ჩვენი პოზიციის ხაზგასასმელად ორივე პრეზენტაციაზე ნაჩვენებია იყო ფონდის ტასო დოკუმენტური ფილმი „მაცვალი“.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა: დიალოგი პოლიტიკურ პარტიებთან

საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს შორის, ბოლო წლებში მათი საქმიანობის სტაბილურობის ნიშნით, შეირჩა 2 საპარლამენტო და 5 არასაპარლამენტო პარტია. ჩატარდა ამ პარტიათა წესდებებისა და საარჩევნო პროგრამების, აგრეთვე პარტიათა წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების გენდერული ანალიზი. კვლევამ აჩვენა, რომ ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი გენდერულ თანასწორობას და ქალთა დაწინაურებას პოლიტიკურ ასპარეზზე ქართული სინამდვილისთვის არაუზნებრივ, ხელოვნურ მოვლენად მიიჩნევს და იმიზეზებს იმას, რომ ქვეყანა გაცილებით უფრო მწვავე პრობლემების წინაშე დგას. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიები ვერ აცნობიერებენ გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას პრობლემების დასაძლევად, და ვერც საკუთარ როლს ქალთა დაწინაურებისა და გენდერული თანასწორობის საკითხის შესახებ ამომრჩევლის ინფორმირების საქმეში. რესპონდენტთა უმრავლესობა ქალებისა და მამაკაცებისადმი პარტიის შიგნით გენდერულად ნეიტრალურ მიდგომას პარტიის წევრებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფად მიიჩნევს.

ინტერვიუებმა გამოავლინა ქართული პოლიტიკური სივრცის კიდევ ერთი მახასიათებელი – აქ ძირითადი პოლიტიკური ფიგურებია და განვითარებაც მათზე, ინდივიდებზეა დამოკიდებული. რესპონდენტთა დიდმა უმრავლესობამ მიუთითა, რომ წინასაარჩევნოდ კანდიდატთა შერჩევის მთავარი კრიტერიუმი მათი მაღალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ავტორიტეტი საზოგადოებაში და მხარდაჭერა ძლიერი, დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან.



საქართველოსა და საბერძნეთს შორის შრომითი მიგრაციის პრობლემა

კვლევა ფონდმა ორგანიზაციასთან „ადამიანთა ჰარმონიული განვითარების საზოგადოება“ (PHDS) მომსახურების კონტრაქტის საფუძველზე შეასრულა. პროექტი ევროკავშირისგან მხარდაჭერილი პროგრამის „თანამშრომლობა შავი ზღვის რეგიონში წარმოშობის, ტრანზიტულ და მიმღებ ქვეყნებს შორის მიგრაციის საკითხებზე“ ნაწილს წარმოადგენდა.

სამუშაოები შესრულდა საბერძნეთსა (ათენი, თესალონიკი) და საქართველოში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, თელავი, ყვარელი, დუშეთი).

პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა: პროექტის კონსულტანტებისა და განმასხორციელებელი ჯგუფის მიერ შემუშავდა ინსტრუქციები და კითხვარი ნახევრადსტრუქტურული ინტერვიუებისთვის მიგრაციის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან, ასევე შრომით მიგრანტებთან საბერძნეთში და რემიგრანტებთან საქართველოში; შეირჩა პოტენციური რესპონდენტები.

პროექტის სამმა მკვლევარმა მონაწილეობა მიიღო ათენში გამართულ კონფერენციასა და სამუშაო შეხვედრებში საქართველოს საკონსულოსა და ქართული დიასპორების წარმომადგენლებთან ათენსა და

სალონიკში; ჩაიწერა 10 სიღრმისეული ინტერვიუ საბერძნეთში მომუშავე ექსპერტებისგან და 31 სიღრმისეული ინტერვიუ/ზეპირი ისტორია ქართველი შრომითი მიგრანტებისგან. ინტერვიუერთა გაფართოვებულმა ჯგუფმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩაიწერა 32 სიღრმისეული ინტერვიუ სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისგან და 19 სიღრმისეული ინტერვიუ ქართველი ექსპერტებისგან.

ინტერვიუები გაიშიფრა და დამუშავდა. დაიწერა ანალიტიკური კვლევა ქართულ ენაზე, რომელიც ექსპერტებთან/კონსულტანტებთან თანამშრომლობით გადაამუშავდა და ითარგმნა. კვლევას 17 ზეპირი ისტორია ერთვის.

პროექტის მკვლევარებისა და კონსულტანტების მონაწილეობით კვლევის შედეგები წარმოდგენილი იყო PHDS მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა, მათ შორის საერთაშორისო ღონისძიებებზე.



მისუცის მომგვლი ქართველი პიანისტი ქალი. ათენი
Georgian pianist, elderly caregiver. Athens

მონაწილეობა საერთაშორისო სამუშაო შეხვედრაში: 2009

დემოკრატიისა და ელექტორატის მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ტრენინგ-სემინარი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის თემაზე; გენდერული პოლიტიკის საერთაშორისო ქსელის ყოველწლიური გენერალური ასამბლეა; იანვარი, სტამბული

საგანგებო ყრილობა, ორგანიზებული ჯგუფის ფილანთროპია სოციალური სამართლიანობისა და მშვიდობისთვის და ფორდის ფონდის მიერ; თებერვალი, კაირო

ქსელის ფონდები მშვიდობისათვის ყოველწლიური შეხვედრა, ორგანიზებული ჩრდილო ირლანდიის სათემო ორგანიზაციის მიერ; თებერვალი, ალექსანდრია

სამუშაო შეხვედრა კომუნიკაციების სტრატეგიის შესამუშავებლად, ორგანიზებული გაეროს ქალთა ფონდის დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის რეგიონალური ოფისის მიერ. სექტემბერი, ალმა-ათა

ქსელის ფონდები მშვიდობისათვის სამუშაო შეხვედრა, ორგანიზებული ჩრდილო ირლანდიის სათემო ორგანიზაციისა და ნეპალის ქალთა ფონდის Tewa მიერ; სექტემბერ-ოქტომბერი, კატმანდუ

ქალთა ფონდების საერთაშორისო ქსელის რეგიონალური სამუშაო შეხვედრა; თანაორგანიზატორი – ქალთა ფონდი საქართველოში, ოქტომბერი, თბილისი

ქალთა მდგომარეობის კომიტეტის სამუშაო შეხვედრა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის რეგიონალური შეხვედრა პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის განხორციელების შესაფასებლად; ოქტომბერ-ნოემბერი, ჟენევა

2009 წელს გაცემული გრანტების ერთიანი თანხა:

86 717 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

გაცემული გრანტების რაოდენობა: 76